სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ქ. თბილისი, ი.მაჩაბლის ქ. #13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 12 ივნისს გამოცხადებულ კონკურსზე (საკონკურსო განცხადების #1270) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების

რ ე გ ი ს ტ რ ა ც ი ა

| # | კონკურსანტის დასახელება | დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ICOMOS - საქართველო | 27.06.2014 12:02 [illegible] | [illegible] |
| 2 | [illegible] | 27.06.2014 17:25 [illegible] | [illegible] |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |

საკონკურსო აპარატის წევრი [illegible]
ე. ბოლქვაძე

საგადახდო დავალება N1

"24" ივნისი 2014 წელი

რეფერენსი
2831114731

გადამხდელის დასახელება: ააიპ ინჟინრული აზრი

ანგარიში (დებეტი) GE36BG0000000892942101
(ძველი ანგ.)

თანხა

50-00

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ააიპ ინჟინრული აზრი

საიდენტ. კოდი 204400022

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი GE52BR0000010591718543
(კრედიტი)

ბანკის აღნიშვნები

მიმღების ბანკი:
სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი
REPLGE22

ბანკში შემოსვლის თარიღი: 24.06.14

გადახდის დანიშნულება: ქ. თბილისი ი. მაჩაბელის ქ 13 საქ. მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო- დოკუმენტაციის შედგენის მომსახურეობის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

გატარებულია ბანკის მიერ: 24.06.14

ხელმოწერა:

დამატებითი ინფორმაცია: უნიკ.კოდი # 1270

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA 250 BAGAGE22

შტამპის ადგილი

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი ____________

ბ.ა.

მთ. ბუღალტერი ____________

**იგრძენი მომავალი** | საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T33274-14

თბილისი 25 ივნისი 2014 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი" (შემდგომში „გარანტი")

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: ააიპ ინჟინრული აზრი (შემდგომში „პრინციპალი")

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 204400022

პრინციპალის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, ლესელიძის ქ., №18

ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი")

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311

ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის (ყოფ.მთაწმ) რაიონი, თაბუკაშვილის ქ. #5

საგარანტიო თანხა: 600 (ექვსასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ (კონკურსი #1270) ქ. თბილისი, ი.მაჩაბლის ქ. #13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი" ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 600 (ექვსასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 26 აგვისტო 2014 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასვლამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი" (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,

ეთერ ჩხეიძე

გარანტიების სამსახურის უფროსი

თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29ª Gagarini Str., Tbilisi 0160, Georgia
one: (+995 32) 2 444 444 Fax: (+995 32) 2 444 174 Web: www.bog.ge

ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13, საქართველოს მწერალთა სახლის

რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენის მომსახურება.

დირექტორი მ. ლეკვეიშვილი

GEORGIA 204400022 MINCLP ENGINEERING IDEA

1. რეკვიზიტები:

   კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

   *ააიპ "ინჟინრული აზრი "*

   ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

   *მალხაზ ლეკვეიშვილი*

   კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

   *ქ. თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №18/2*

   კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

   *ქ. თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №18/2*

   საიდენტიფიკაციო კოდი:

   204400022

   კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

   298 79 41

   ელექტრონული მისამართი:

   engineering.idea@gmail.com

   ბანკის კოდი:

   საქართველოს ბანკი BAGAGE22

   ანგარიშსწორების ანგარიში:

   GE36BG0000000892942101

2. საკონკურსო წინადადების ფასი

   60 000 (სამოციათასი) ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

   2014 წლის 27 ივნისიდან 2014 წლის 28 ივლისამდე

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა %-ლად

   1 (ერთი) პროცენტი

5. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა %-ლად

   არა

ხელმძღვანელის ხელმოწერა

6.3.2

ინფორმაცია პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება

ააიპ "ინჟინრული აზრი"

მის. ქ. თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №18/2

ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

| | |
|---|---|
| 2014 | ქ. სენაკის ა. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება |
| 2014 | ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიის რეაბილიტაციის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება |
| 2012 | ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №6, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფონდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №7, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფონდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, შ. ყავლაშვილის ქ. №9, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფონდი) |
| 2012 | ქ. თბილისში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის ფასადების აზომვითი პროექტი (დამკვეთი – სსიპ სასამართლოების დეპარტამენტი) |
| 2012 | ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №19, ორსართულიანი შენობის ფასადის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – ქ. თბილისის განვითარების ფონდი). |
| 2011 | ქ. თბილისში, ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) |
| 2011 | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ ფუძნარის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) |
| 2011 | ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №126, ფასადების რეაბილიტაციის პროექტი (დამკვეთი – შპს "უნიდენტი") |

| | |
|---|---|
| 2010 | თურქეთში, ოშკის ტაძრის 3D სკანირება და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების შესრულება (დამკვეთი – შპს "რესტავრატორები და კომპანია"); |
| 2010 | ქ. დუშეთში ოთხსართულიანი საავადმყოფოს რეაბილიტაციის პროექტი (დამკვათი სს "სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი ჰოლდინგი"); |
| 2010 | ბაკურიანში ერთსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი ( დამკვათი - სს "სადაზღვევო კომპანია ჯი-პი-აი ჰოლდინგი"); |
| 2010 | ბებრის ციხის, დედოფლის წყაროს, მირზაანის და ოზურგეთის მუზეუმ-ნაკრძალების ტოპო- და საკადასტრო აზომვები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.) |
| 2009 | იყალთოს სამონასტრო კომპლექსის დასავლეთის კარიბჭის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (დამკვეთი ა/ა იურიდიული პირი "შირიმი" ). |
| 2009 | ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის, უჯარმის ციხე-კომპლექსის, თბილისში ნარიყალის კომპლექსის, ქუთაისის და ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალების საკადასტრო აზომვები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.) |
| 2009 | ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე არქიტექტურული ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი ( დამკვეთი – ძველი თბილისის გამგეობა.) |
| 2008 | ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის საკადასტრო ანაზომები ( დამკვათი - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.) |
| 2008 | პენსილვანიის აშშ საგუშაგო კოშკის კონსტრუქციების ტექნიკური მდგრადობის დასკვნა-ექსპერტიზა. ( პენსილვანიის აშშ საგუშაგო კოშკის საზოგადო ფილიალი საქართველოში); |

**ინფორმაცია**
ტენდერში მონაწილის მუშაკთა
შესახებ

| თანამდებობა | გვარი, სახელი |
| --- | --- |
| პროექტის ხელმძღვანელი | მალხაზ ლეკვეიშვილი |
| არქიტექტორი | ნინო გრიქუროვა |
| არქიტექტორი | თამარ მენთეშაშვილი |
| არქიტექტორი | გიორგი ტაბატაძე |
| არქიტექტორი | ნანა ლეკვეიშვილი |
| ხელოვნებათმცოდნე | ლალი ანდრონიკაშვილი |
| კონსტრუქტორი | ალექსანდრე მჭედლიშვილი |
| ტოპოგრაფი | ნოდარ ყავლაშვილი |
| 3D სკანირების ოპერატორი | გიორგი მიქაძე |
| გეოლოგი | დავით შანიძე |
| ხარჯთაღმრიცხველი | ვიტალი ნაზაროვი |

# C.V.

## მალხაზ ლეკვეიშვილი

<u>დაბადების თარიღი:</u> 1957 წ. 3 ივლისი

<u>განათლება:</u>

1974-1979წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი,

<u>სამუშაო გამოცდილება:</u>

1997 წ. - დღემდე ააიპ «ინჟინრული აზრი» - დირექტორი

1995 წ. - დღემდე არქიტექტურულ-სამშენებლო ფირმა. «ემ-ენ პროქტი» - დირექტორი

1979-1995 წ.წ. ს.ს.ი. "თბილქალაქპროექტი" – ძველი თბილისის სპეციალიზირებული რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სახელოსნო

მთ. არქიტ. - 1988-1996 წ.წ.
უფრ. არქ. - 1985-1988 წ.წ.
არქიტექტ. - 1979-1985 წ.წ.

<u>პროფესიონალური</u>

<u>საზოგადოების წევრობა:</u> ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი;

კულტურული მემკვიდრეობის ამერიკის ნაციონალური საზოგადოების წევრი.

<u>შესრულებული სამუშაოები:</u>

- ქ. სენაკის ა. ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2014);
- ქ. თბილისში ანჩისხატის ეკლესიის რეაბილიტაციის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება (2014);
- ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №6, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2013);
- ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №7, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2013);
- ქ. თბილისში, შ. ყავლაშვილის ქ. №9, ორსართულიანი შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2013);
- ქ. თბილისში, ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (2012);
- დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფუძნარის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (2011);
- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009);
- ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, რ. თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ჩხიკვთას სიონის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);
- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №7/2-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);

- დაბა წავკისში სამი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (2006);
- ქ. თბილისში ალ. დიუმას ქ.№13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005);
- ქ. თბილისში არმაზის ქ.№27/12-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005);
- ქ. თბილისში გ. აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია;
- ქ. მცხეთაში "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალის შენობა;
- ჰოლანდიის საელჩოს რეკონსტრუქცია;
- ქ. თბილისში, საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქცია ლ. გუდიაშვილის №11-ში, ჭონქაძის ქ. №11-ში, ვაჩნაძის ქ. №35/5-ში, რ. თაბუკაშვილის ქ. №6-ში;
- საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო საგუშაგო შატილში ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტები ლ. ასათიანის ქ. №28-ში და ბარნოვის ქ. №8-ში;
-ვერცხლის და აკოფიანის ქუჩაბს შორის მდებარე კვარტლის რეკონსტრუქციის პროექტი (1988წ.),
- საქართველოს სავაჭრო პალატის ადმინისტრაციული შენობის პროექტი (1989წ.),
-მხატვარ ე. ამაშუკელის საცხოვრებელი სახლის პროექტი (1990წ.),
- ფირმა "ელიზი"-ს ადმინისტრაციული შენობების პროექტი;
- სასაზღვრო საგუშაგო "წითელ ხიდთან",
- მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტები ივერიის ქ. №11-ში და ცინცაძის ქ. №9-ში ,
- დუტუ მეგრელის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო "ფიროსმანის" რეკონსტრუქციის პროექტი,
- ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტები დაბა წყნეთში, ტაბახმელაში, თბილისში, სოჭში, მოსკოვის ოლქში;
- თბილისში 2002 წელს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული რიგი სახლების აზომვითი და საექსპერტო სამუშაოები;
- ძველი თბილისის მიწისძვრით დაზიანებული არქიტექტურული ძეგლების სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება.

<u>პუბლიკაციები :</u>

«Сейсмический риск и реконструкция исторического центра г.Тбилиси». Заалишвили В., Тимченко И., Чачава Н., Леквеишвили М. г.Сочи. 1999

"The Development Plan of the Tbilisi City Historical Center on the Bases of the Estimation of Seismic Risk Zonation". N.Chachava, M.Lekveishvili, I. Timchenko. Chamber of Architect Section of UIA in Turkey Region II Work Program. Istanbul, 1999

"Diagnostics and Development of Recommendations on Seismic Stability of Housing System under Reconstruction of Historic City Center". N.Chachava, M.Lekveishvili. Eleventh World Conference on Earthquake Engineering. Acapulco, 1996.

<u>ენების ცოდნა:</u> ქართული, რუსული

# ანდრონიკაშვილი ლალი

ქ. თბილისი, 0102, უზნაძის ქ. №4

ტელ: +995 32 295 41 30 +995 595 50 14 66 (მობ)


---

## *ძირითადი უნარ-ჩვევები*

- კომპიუტერული პროგრამები: **Ms Office, Internet**
- ენები: ქართული (მშობლიური), რუსული, ფრანგული

---

## *პირადი ინფორმაცია*

**დაბადების თარიღი:** 6 ნოემბერი, 1962,
**დაბადების ადგილი:** თბილისი, საქართველო.

---

## განათლება

| | |
|---|---|
| 1979-1984 | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნე |

## პროფესიული გამოცდილება

| | |
|---|---|
| 1984 – დღემდე | გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის თანამედროვე ხელოვნების განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. |
| 2013-2014 | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი |
| 2010-2013 | თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური კონკურსის მიმღები კომისიის წევრი |
| 2005-2007 | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიტროსთან არსებული ურბანიული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი |
| 2004-2005 | ურბანული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის წევრი (კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი). |
| 2002-2003 | ძველი თბილისის ურბანული მემკვიდრეობის დაცვის საზოგადოებრივი-სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. |
| 2001–2002 | გაზეთ "ილიაზდი"-ს რედკოლეგიის წევრი. |

## შესრულებული პროექტები

1. 2000 წლიდან დღემდე თბილისსა და საქართველოს სხვა ისტორიულ ქალაქებში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტების ხელოვნებათმცოდნე ექსპერტი.
2. 2014 - წინანდლის ალ. ჭავჭავაძის მამულის ტერიტორიაზე არსებული ღვინის ქარხნის ადაპტაციის პროექტის კვლევითი ნაწილის ხელმძღვანელი - Silk Road Group.
3. 2014 - ქ. თბილისის გუდიაშვილის მოედნის სარეაბილიტაციო პროექტის კვლევის ავტორი - თბილისის რეაბილიტაციის ფონდის პროექტი
4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს პროექტი - წითელი ხიდის რეკონსტრუქცია. ხელოვნებათმცოდნე ექსპერტი. 2012.
5. წინანდლის არქიტექტურული კომპლექსი. რეაბილიტაციის პროექტი. ხელოვნებათმცოდნე ექსპერტი. 2011.
6. თბილისის ურბანული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის პროექტი (“გეოგრაფიქსი”) 2005-2006 - ექსპერტი;
7. შუამთის მონასტრის სამრეკლოს რეკონსტრუქციის პროექტი (ასოციაცია “ინჟინრული აზრი”– სახელოვნებათმცოდნეო კვლევა 2006);
8. ძველი თბილისის ურბანული განვითარების პროექტი. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, ექსპერტი, 2005-2006;
9. ქ. თელავისა და სიღნაღის ურბანული მემკვიდრეობის ძეგლთა ინვენტარიზაციის პროექტი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროს პროექტი 2005);
10. ქ. თბილისში ალ. დიუმას ქ. №13-ში მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი” (ასოციაცია “ინჟინრული აზრი” – სახელოვნებათმცოდნეო კვლევა 2005);
11. ქ. თბილისში არმაზის ქ. №27/12 მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი (ასოციაცია “ინჟინრული აზრი” – სახელოვნებათმცოდნეო კვლევა 2005);

## კონფერენციები

1999, 1992, 1988, 1986, – გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიები.

1994; 1996; 2005 – თბილისის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო სესიები.

2001, 2003 – იუნესკოს ძეგლთა დაცვისა და ქალაქთმშენებლობის კათედრის საერთაშორისო სემინარი, მოსკოვი.

2013 - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის სამეცნიერო სესია.

*გამოქვეყნებული ნაშრომები*

1. ქ. თელავის ურბანული მემკვიდრეობა, ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული, 2014.

2. XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ქართული არქიტექტურა, თბ., გამომც. ,,მწიგნობარი", 2013.

3. XVIII-XIX საუკუნეების ქართული სასახლეების ნიმუშები ქართლსა და კახეთში, თბ., 2004.

4. წინანდლის არქიტექტურული კომპლექსი, ძეგლის მეგობარი, 3, თბ., 1999.

5. მე-XIX საუკუნის სათავადაზნაურო კარმიდამოს არქიტექტურა, ლიტერატურა და ხელოვნება, 3, თბ., 1996,

6. ახალი ქართული ხელოვნება, სპექტრი, თბ., 1994

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **ნინო გრიქუროვა** |
| მისამართი | თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №1, ბ.14 |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 1958, 13 ივნისი, თბილისი |
| განათლება | 1975-1980, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი |
| პროფესია | არქიტექტორი |
| საქმიანობა | 1997-დღემდე – ააიპ "ინჟინრული აზრი" - არქიტექტორი<br>1982-1997 – სსი "თბილქალაქპროექტი", ძველი თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალიზირებული სახელოსნო - წამყვანი არქიტექტორი;<br>1980-1982 – სსი "ენერგოქსელპროექტი"– არქიტექტორი |

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- ქ. სენაკი, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2014);
- ქ. თბილისი, ერეკლე II-ეს მოედანი №7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის პროექტი (2013);
- ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2012);
- ქ. თბილისი, ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი (2011);
- თურქეთი, ტაო-კლარჯეთი, ოშკის ტაძრის არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ;
- მესტია, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009);
- ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, რ. თაბუკაშვილის ქ. №5-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ჩხიკვთას სიონის რეაბილიტაციის პროექტი (2008);
- ქ. თბილისში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);

- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქ. №7/2-ში მდებარე შენობის რეაბილიტაციის პროექტი (2007);
- დაბა წავკისში სამი ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (2006);
- ქ. თბილისი, ალ. დიუმას ქ. №13-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2005);
- ქ. თბილისში გ. აბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია;
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტი ლ. ასათიანის ქ. №28-ში (2003);
- ადგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროექტი ბარნოვის ქ. №8-ში (2003);
- ქ. მცხეთაში "სახალხო ბანკის" მცხეთის ფილიალის შენობა;
- ქ. თბილისში დუტუ მეგრელის ქუჩაზე სასტუმრო "ფიროსმანი"-ს რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში "მშრალი ხიდის" განაშენიანების რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში აკოფიანის, იეთიმ გურჯის და ჩახრუხაძის ქუჩებს შორის მდებარე განაშენიანების რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში დიუმას (ყოფ. ჟელიაბოვის) ქ. №8-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;

კომპიუტერული პროგრამები

ArchiCAD 15.0; AutoCAD 2010; PhotoShop CS6; PageMaker 7.0;

ენების ცოდნა

ქართული – მშობლიური; რუსული – მშობლიური; ინგლისური –კარგად.

# CURRICULUM VITAE

**სახელი, გვარი** ალექსანდრე მჭედლიშვილი

**მისამართი** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №54, ბ.6; მობ. 899 265162

**დაბადების თარიღი** 4 აპრილი, 1956, თბილისი

**განათლება** 1973-1981, სპი, სამოქალაქო მშენებლობის ფ-ტი

**სპეციალობა** ინჟინერ-მშენებელი

**საქმიანობა**

2004- დღემდე – ასოციაცია "ინჟინრული აზრი"- მთ. კონსტრუქტორი

2006- დღემდე მრავალდარგობრივი ფირმა "ჩემი სახლი". მშემებლობის ექსპერტი;

2000–დღემდე – საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაცია

1998-2004 --შპს "გეო+" - კონსტრუქტორი,

1982-1998 -- სსი"საქსპორტპროექტი"–პროექტის მთავარი ინჟინერი

**განხორციელებული და მიმდინარე პროექტები**

- ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობის რეკონსტრუქცია (2002-03);
- ბაკურიანში სასტუმრო "ყაზბეგი" (2002);
- ქ. თბილისში, ზ.ფალიაშვილის 1. №№80, 90, 92 მრავლსართულიანი საცხ. სახლები (2004-06)
- ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩაზე ფირმა "გრები"-ს ოფისი (2005-06)
- ქ. თბილისი, გაბესაძის ქ. №4/6-ში კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუცია (2006-07);
- ქ. თბილისი, არმაზის ქ. №27/12 მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);
- ქ. თბილისი, ალ.დიუმას ქ. №13-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2006);
- ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);
- ქ. თბილისი, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2007);
- ვერის პარკში მდებარე ჩოგბურთის კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია (2006-2007);
- ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №4 "ქარვასლის" შენობის რეკონსტრუქცია, (2007-2008)
- თეთრიწყაროს რ-ნი, ჩხიკვთას სიონის ეკლესიის რეკონსტრუქცია (2008);
- ალფერდის მონასტრის მარნის პროექტირება-მშენებლობა (2007);
- შორეთის მონასტრის რესტავრაცია - 2007 წ.
- ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №8-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი (2008);
- მესტიაში, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი (2009-2010);

# CURRICULUM VITAE

| | |
|---|---|
| სახელი, გვარი | **გიორგი მიქაძე** |
| მისამართი | თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. №2, ბ.155 |
| დაბადების თარიღი და ადგილი | 1984 წ. 5 მარტი, თბილისი |
| განათლება | 2001-2005წ.წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ენერგეტიკის ფაკულტეტი,<br>2008წ. – ჰოლანდია, დელფტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, გეოინფორმატიკის ფაკულტეტი – ინდივიდუალლური სამთვიანი სასწავლო კურსი |
| პროფესია | ინჟინერ-ენერგეტიკოსი |
| საქმიანობა | 2006 - დღემდე – ააიპ "ინჟინრული აზრი" - ინჟინერი, 3D სკანირების ოპერატორი |

**განხორციელებული და მიმდინარე პროექტები**

- სომხეთი, ტატევის სამონასტრო კომპლექსის სკანირება-დოკუმენტირება;
- თბილისი, ნორაშენის ტაძრის სკანირება-დოკუმენტირება;
- თბილისი, სურბ-გევორქის ეკლესიის სკანირება-დოკუმენ-ტირება;
- ქუვეიტი, ელ-ქუვეიტი, დივანიეს სკანირება-დოკუმენტირება;
- ქ. სენაკი, ა.ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სკანირება-დოკუმენტირება;
- ტაო-კლარჯეთი, ოშკის ტაძრის აზომვა დოკუმენტირება;
- გრემის სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;
- მოწამეთას სამონასტრო კომპლექსის აზომვა-დოკუმენტირება;
- მესტია, ლანჩვალის უბნის რეაბილიტაციის პროექტი;
- გელათის სამონასტრო კომპლექსი, აზომვა დოკუმენტირება;
- თბილისი, რუსთაველის გამზ. "ცისფერი" გალერეის წინასაპროექტო აზომვითი სამუშაოები და კვლევა.
- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქუჩა №№ 5,9,11,16 აზომვითი სამუშაოები

- ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის მოედ. №7/2-ში მდებ. შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში ბ. ახოსპირელის ქ.№4-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი;

კომპიუტერული პროგრამები — AutoCAD ; PhotoShop; Premier.Pro ; Cyclon ; LupoScan; PhotoModeler;

ენების ცოდნა — ქართული, ინგლისური, რუსული.

## ქ. თბილისში, ი.მაჩაბლის ქ. №13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის პროექტი

### ძეგლის არსებული მდგომარეობის აღწერა, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგია და ჩამონათვალი

სარეაბილიტაციო ნაგებობები მდებარეობს ქ. თბილისში, სოლოლაკში, ივანე მაჩაბლის №13–ში, იგი აშენდა როგორც საცხოვრებელი სახლი ქართველი მეცენატის დავით სარაჯიშვილის დაკვეთით 1903–1905 წლებ . შენობის არქიტექტორა გერმანელი კარლ ცაარი. 1916 წლიდან აქ ასევე ცხოვრობდა ცნობილი კომერსანტი აკაკი ხოშტარია,
ეს სახლი წარმოადგენს თბილისის ხუროთმოძღვრებაში, მოდერნიზმის ერთ–ერთ პირველ ნიმუშს. 1921 წელს, სახლში ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი, მოგვიანებით კი საქართველოს მწერალთა კავშირი განთავსდა.
მაღალი მანსარდით დახურული ორსართულიანი ნაგებობა ხელოვნური ქვით არის მოპირკეთებული. სტილისტურად კი, მოდერნისა და ბაროკოს ელემენტებს ითავსებს. ეზო–ბაღისკენ თბილისისთვის ტრადიციული ღია ხის აივნებით არის მიმართული, რომელთა დეკორი განსაკუთრებული მხატვრულობით გამოირჩევა. შენობის ფასადზე უხვად გამოიყენება ტალღოვანი ფრონტონები, ნაძერწი ნიჟარები და მცენარეული ორნამენტი, ასევე ქალის თავის გამოსახულებიანი კონსოლები.

შენობა მთავარი ფასადით გამოდის ერთმანეთთან მიჯრით მდგომ ნადებობათა მჭიდროდ განაშენიანებულ ქუჩაზე, უკანა ფასადი გადაყურებს შიდა ეზოს, რომელიც მეზობლად მდგომი სახლების კედლებითაა შემოსაზღვრული. შენობა ორ სართულიანია მანსარდითა და მაღალჭერიანი სარდაფით, მთავარი შესასვლელიდან ფართო ქვის კიბით ეხვდებით დიდ ოთახში, რომელიც პარადულ მისაღებს წარმოადგენს და ამასთან ერთად გამანაწილებელის ფუნქციასაც ასრულებს, აქვეა მდიდრულად გაწყობილი შიდა ხის კიბე, რომელიც თავისი მხივ წარმოადგენს შენობაში არსებული 4 დონის ძირითად მაკავშირებელს (სახლს აქვს ასევე ორი დამხმარე კიბე). გამანაწილებლიდან შესაძლებელია მოხვედრა ორ საერთო–სასტუმრო ოთახში, რომელიც გამოირჩევა ასევე მდიდრული გაფორმებით, ასევე შესაძლებელია გასვლა ქვის დიდ ვერანდაზე, საიდანაც ფართო კიბით ჩავდივართ უკანა ეზოში არსებულ მწვანეში ჩაფლულ დეკორატიულ ბაღში. მეორე სართულზე განლაგებულია გრძელი კორიდორი, რომელსაც ორ მხრივ ანფილადურად მიუყვება განლაგებული ოთახების სისტემა, სადაც არქიტექტორს, თავის დროზე დაგეგმარებული ქონდა სამუშაო კაბინეტი, მოსასვენებელი ოთახი, დიდი აბაზანა ტუალეტით და საძილე ოთახები, შენობის ჩრდილო დასავლეთი მონაკვეთი დამხმარე კიბის უჯრედსა და დამხმარე სათავსოებს უკავია. მანსარდის სართულზე ამჟამად მიმდინარეობს

სარემონტო სამუშაოები, დღეისათვის მოხსნილია ძველი ტიხრები და შეუძლებელია განისაზღვროს თუ როგორი იყო მანსარდის ავთენტური იერსახე.

სარდაფიც ძლიერ არის გადაკეთებული, უნდა ვივარაუდოთ რომ აქ განთავსებული იყო დამხმარე სათავსოები – მარანი, ღვინისა და სურსათის საწყობები. სარდაფს აქვს ღიობები ქუჩისა და ეზოს მხარეს, რაც უზრუნველყოფს სათავსოების გამჭოლ–ბუნებრივი განიავებას. აღსანიშნავია, რომ სარდაფის კედლები, რომლებიც შენობის უკიდურეს სამხრეთით მდებარეობს დანესტიანებულია და ზოგიერთ მონაკვეთში გააჩნია ბზარები. სარდაზის გადახურვის ის მონაკვეთი რომელიც პირველი სართულის ღია ვერანდის იატაკს წარმოადგენს, ძლიერ დაზიანებულია, სართულშუა გადახურვის ლითონის შველერები დაჟანგულია და საშიშროებას წარმოადგენს მისი ჩამონგრევისა. დაზიანებები შეინიშნება ასევე ეზოს ფასადზე სამხრეთ–დასავლეთით, ასევე კონსტრუქციული დაზიანენები აქვს დამხმარე შიდა ქვის კიბეს.

რაც შეეხება სახლის გამაგრებასა, მის სარეკონსტრუქციო სამუშაოებსა და მომავალ მოვლა–პატრონობას, მისი განსაკუთრებული მხატვრული და არქიტექტურული ღირებულების გამო აუცილებელია შესრულდეს მთლიანი ნაგებობის 3დ საკნირება მაღალი რეზოლუციით, ყველა დეკორატიული დეტალის ფიქსაციით, რაც მოგვცემს საფუძველს შეიქმნას ამ უნიკალური სახლის არსებული მდგომარეობის სრულყოფილი დოკუმენტაცია. სამშენებლო მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდეს ყველა ავთენტურ სამშენებლო მასალას. ხოლო კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით უნდა შეირჩეს თუ რა სამშენებლო მასალები იქნას გამოყენებული შენობის აღდგენითი–სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დროს.

არქიტექტორი მ. ლეკვეიშვილი

# შენობის კონსტრუქციული მდგრადობის

# დასკვნა

მე (საქართველოს კონსტრუქტორთა ასოციაციის წევრი ა. მჭედლიშვილი) ვიმყოფებოდი მოცემულ მისამართებზე სახლების შესასწავლად.

შენობა ორსართულია, გააჩნია სარდაფისა და მანსარდის სართულები.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს  აგურისკაპიტალური კედლები. სართულშუა გადასურვები მოწყობილია ლითონის კოჭებზე თაღოვანი ფილებით. აღსანიშნავია, რომ სარდაფის სართულზე ლითონის კოჭები განიცდის ძლიერ კოროზიას და მისაღებია ზომები მათ გასაძლიერებლად. ვინაიდან აქ ვერ მოხერხდება სართულშუა გადახურვიე მთლიანად გამოცვლა, რეკომენდებულია სარდაფის ჭერში მოეწყოს ლითონის კონსტრუქციით არსებული კონსტრუქციის გაძლიერება. მანსარდის სართულზე აღინიშნება კუთხის ბზარი, რომელიც ბურღვითი მეთოდით შეუძლებელია გამაგრდეს, აქ რეკომენდებულია გასუფთავდეს კედელი არსებული ბათქაშისაგან და ჩაჯდეს რ/ბ-ის მონოლითურ პერანგში. აღსანიშნავია აგრეთვე შიგა ერთ-ერთ კედელზე გამჭოლი ბზარი, რომელიც შენობის ჯდომითაა გამოწვეული და რომელიც შეიძლება გამაგრდეს ისევ რ/ბ-ის მონოლითური პერანგში მთლიანი კედლის ჩასმით. რაც შეეხება საძირკვლების გამაგრებას, ამ ადგილზე შეუძლებელია მათი გაშიშვლება და დაღრმავება-გაგანიერების ჩატარება. ინექტირებით საძირკვლების გამაგრება აქ ნაკლებად ეფექტური იქნება.

**დასკვნა**

არსებულ შენობას აუცილებელია ჩაუტარდეს სარდაფის გადახურვის კონსტრუქციების გაძლიერება ლითონის კონსტრუქციებით, დაზიანებული კედლები კი შეიძლება აღდგეს რკ/ბ-ის მონოლითურ პერანგში ჩასმის მეთოდით.

კონსტრუქტორი ა. მჭედლიშვილი








საარქივო ფოტოები


















6.3.4

საკონკურსო წინადადება:

ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

საკონკურსო წინადადების ფასი:

60 000 (სამოციათასი) ლარი

საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

2014 წლის 27 ივნისიდან 28 ივლისამდე

## შენობის რეაბილიტაციისათვის აუცილებელი

## ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

I ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:

1 განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით;
2 სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა (მ 1:1000)
3 ტოპოგრაფიული გეგმა (მ 1:500);
4 სისტემატიზირებული ფოტომასალა: ობიექტის საერთო ხედები, ფასადები ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა;
5 3D ლაზერული სკანირება და მიღებული კოორდინატთა სისტემაში დარეგისტრირებული წერტილოვანი ციფრული ანაზომის დამუშავება
6 არქიტექტურული ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (გეგმების, ჭრილების, ფასადების მომზადება დაზიანებების დატანით (მ 1:100), დეტალები (მ 1:20; 1:10), შაბლონები (მ 1:1);
7 კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;
8 შენობების ტექნიკური მდგომარეობის და საინჟინრო კომუნიკაცოების არსებული ქსელის მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
9 საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება (გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შეფასება, სინჯების ლაბორატორიული ანალიზი, ანალიზის შედეგების დამუშავება და დასკვნების მომზადება) ლითოლოგიური ჭრილებით, შურფებით და არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;
10 სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები;;

*II ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები:*

1. რეაბილიტაციის პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება:
   განმარტებითი ბარათი პრობლემების გადაჭრის გზებით და მეთოდოლოგიის დასაბუთებით;
   გენერალური გეგმა – (მ 1:200)
   სამუშაო ნახაზები – გეგმები, ჭრილები, ფასადები (მ 1:100)
   შაბლონები, დეალები, ფრაგმენტები (მ 1:50; 1:20; 1:10; 1:1)

2. რეაბილიტაციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; განმარტებითი ბარათი; სამუშაო ნახაზები; სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;
3. საინჟინრო ქსელების რეაბილიტაციის პროექტი
4. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება
5. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკით;
6. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;
7. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი.
8. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი

არქიტექტორი მ. ლეკვეიშვილი

6.3.5

*ქ. თბილისში ი. მაჩაბლის ქ №13, საქართველოს მწერალთა სახლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის*

*ხარჯთაღრიცხვა*

| № | შესასრულებელი სამუშაოები | ღირებულება |
|---|---|---|
| | *I ეტაპის სამუშაოები* | |
| 1 | განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით | 500 |
| 2 | სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა | 100 |
| 3 | ტოპოგრაფიული გეგმა | 300 |
| 4 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | 200 |
| 5 | ძეგლის 3D სკანირება და წერტილთა ღრუბლის რეგისტრირება ელ.ფორმატში | 7 200 |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დამუშავება დაზიანებების დატანით | 9 000 |
| 7 | კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემების დამუშავება | 600 |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის და კომუნიკაციების შეფასება და რეკომენდაციები | 400 |
| 9 | მიწის სამუშაოების შესრულების შემთხვევაში არქეოლოგიური მეთვალყურეობა | 600 |
| 10 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | 2 500 |
| 11 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | 800 |
| | *I ეტაპის სამუშაოების ჯამი* | *22 200* |
| | *II ეტაპის სამუშაოები* | |
| 1 | არქიტექტურული ნაწილის დამუშავება | 8 785 |
| 2 | პროექტის კონსტრუქციული ნაწილი | 3 200 |
| 3 | საინჟინრო კომუნიკაციების რეაბილიტაციის პროექტი | 5 400 |
| 4 | ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტის შედგენა | 500 |
| 5 | სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით | 400 |
| 6 | ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა | 600 |
| 7 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის შედგენა | 500 |
| 8 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტის შედგენა | 500 |
| | *II ეტაპის სამუშაოების ჯამი* | *19 885* |
| | *I და II ეტაპების სამუშაოების ჯამი* | *42 085* |

სამემოსავლო 20% 8 420 ლარი

ჯამი 50 505 ლარი

ზედნადები ხარჯები 10% 5 050 ლარი

ჯამი 55 555 ლარი

მოგება 8% 4 445 ლარი

სულ საპროექტო სამუშაოების
საერთო ჯამი **60 000 (სამოციათასი) ლარი**

| № | თვეები | ოქტომბერი | | | | ნოემბერი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღეები | 1-7 | 8-15 | 16-23 | 24-31 | 1-7 | 8-15 | 16-23 | 24-30 |
| | *სამუშაოების დასახელება* | | | | | | | | |
| | *II ეტაპის სამუშაოები* | | | | | | | | |
| 1 | პროექტის არქიტექტურული ნაწილის დამუშავება | | | | | | | | |
| 2 | პროექტის კონსტრუქციული ნაწილი | | | | | | | | |
| 3 | საინჟინრო ქსელების რეაბილიტაციის პროექტის შესრულება | | | | | | | | |
| 4 | ვერტიკალური გეგმარება | | | | | | | | |
| 5 | ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა | | | | | | | | |
| 6 | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის პასპორტი | | | | | | | | |
| | კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი | | | | | | | | |
| 7 | სარეაბილიტაციო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გეგმა-გრაფიკით | | | | | | | | |
| | II ეტაპის სამუშაოების ჩაბარება | | | | | | | | |

პროექტის ხელმძღვანელი მ. ლეკვეიშვილი

## კვლევითი-საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობა

პირველი ეტაპი : 1 ივლისი – 30 სექტემბერი

მეორე ეტაპი: : 1 ოქტომბერი – 30 ნოემბერი

| № | თვეები | ივლისი | | | | აგვისტო | | | | სექტემბერი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღეები | 1-7 | 8-15 | 16-23 | 24-31 | 1-7 | 8-15 | 16-23 | 24-31 | 1-7 | 8-15 | 16-23 | 24-30 |
| | სამუშაოების დასახელება | | | | | | | | | | | | |
| | *I ეტაპის სამუშაოები* | | | | | | | | | | | | |
| 1 | განმარტებითი ბარათი პრობლემების დეტალური აღწერით | | | | | | | | | | | | |
| 2 | სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა | | | | | | | | | | | | |
| 3 | ტოპოგრაფიული გეგმა | | | | | | | | | | | | |
| 4 | სისტემატიზირებული ფოტომასალა | | | | | | | | | | | | |
| 5 | ლაზერული სკანირება და მასალების რეგისტრირება | | | | | | | | | | | | |
| 6 | არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების დამუშავება არსებული დაზიანებების დატანით | | | | | | | | | | | | |
| 7 | კონსტრუქციული სქემების დამუშავება | | | | | | | | | | | | |
| 8 | შენობის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები | | | | | | | | | | | | |
| 9 | საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა | | | | | | | | | | | | |
| 10 | სახელოვნებათმცოდნეო კვლევა | | | | | | | | | | | | |
| | I ეტაპის სამუშაოების ჩაბარება | | | | | | | | | | | | |

დანართი #2

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

---

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.